ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 234

"8" სექტემბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №24-26-ის მიმდებარედ 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.010.049) პირდაპირი განკარგვის წესით დანიილ ნადაშვილისთვის (პ/ნ: 01224095053) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №24-26-ის მიმდებარედ 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.010.049) პირდაპირი განკარგვის წესით დანიილ ნადაშვილისთვის (პ/ნ: 01224095053) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 31 აგვისტოს №20.984.1232 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზირი №24-26-ის მიმდებარედ 13 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.15.05.010.049) პირდაპირი განკარგვის წესით დანიილ ნადაშვილისთვის (პ/ნ: 01224095053) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 340 (ორი ათას სამას ორმოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**